ეგრი

ყოველდღიური გაზეთი

№ 31

წელიწადი პირველი 1913

ფასი:

წლიურათ	7 მანეთი
ნახევარი წლით	4 მანეთი
თვიურათ	4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 8 დეკემ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕГРИ"

Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაუბზე დამყარებული ამზანაგობა

„ს. მ. პირაპოზოვი და გ. ოვანოვი"

ქალაქ ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარ სახლებში.

მხოლოდ 11 დღით

ნიშნავს საშობაო იაფვაჭრობას

დარჩენილ სეზონის საქონლებისა

10, 11, 12, 13 14, 16, 17, 18, 19, 20 და 21 დეკემბერს 1913 წ.

აბრეშუმის განყოფილება:

აბრეშუმის მატერიები ტანსაცმელებისთვის და ბლუზებისთვის არშ. დაწყ.	6 შ.	და ზევით.
აბრეშუმის მატერიები ქვედა იუბკებისთვის (კანაუსები და ბურსოები) ყოველნაირი ფერის საუკეთესო ღირსებისა დაწყებული	11 შ.	—
აბრეშუმის დამასსე. როდომე და სარჟები ყოველნაირი ფერისა სარჩულისთვის არშინი დაწყებული	7 შ.	—
აბრეშუმის ველვეტები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისგან და აგრეთვე მანჩესტერები არშინი დაწყებული	10 შ.	—
აბრეშუმის სასაბნე საპირეები ბუხარიისა და სამარყანდის და აგრეთვე ატლასების ცალი დაწყებული	5 მ.	და ზევით.
შალ-აბრეშუმეული მატერიები სახიანი და სადა ორგანი და ფერადი ყოველნაირი არშინი დაწყებული	14 შ.	

შალეულობის განყოფილება:

შიფონები შალეულობის უცხოეთისა და რუსეთის საუკეთესო ქარხნებისგან ორგანიანი ყოველნაირი ფერის დაწყებული	15 შ.	და ზევით.
შალეულობის მატერიები ინგლისურ კასტიუმებისათ. ორგანიანი არშინი დაწყ.	10 შ.	—
შალეულობის ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლ. ორგანიანი არშ. დაწყ.	6 შ.	—
შალების მუსილინები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებიდან არ.შ. დაწყ.	6 შ.	—
შალების მუარი, ქვედა იუბკებისთვის არშინი დაწყებული	6 შ.	—
შალეულობის მატერია ორგანიანი სახიანი და სადა არშინი	23 კ.	—

მაუდეულობის განყოფილება:

პლიუშები უსახო აბრეშუმის და შალეულობის საპალტოეთ არშინი დაწყებული	1 მ. 2 აბ.	და ზევით.
პლიუშები სახიანი ქალებისა და ბავშებისთვის საპალტოეთ არშინი დაწყებული	19 შ.	—
პლიუშები ავეჯეულობისთვის და სასარჩულე არშინი დაწყ.	18 შ.	—
შალის კარაკულის მზგავსი ტ ბუკლე შავი ყველა ფერადი მატერია არ. დაწყებული	2 მ.	—
დრაფები დიდებისა და ბავშებისა პალტოებისთვის ყოველნაირი ფერისა არშინი დაწყებული	1 მ. 4 აბ.	და ზევით.
დრაფები ქალების პალტოებისთვის ფერადი, თავისივე სარჩულით არშინი დაწყებული	1 მ. 18 შ.	—
დიაგენალები შალეულობის საზამთრო დემი-სეზონისა და საზაფხულო ორგანიანი 2 არშინი სიგანე არშინი	1 მ. 3 აბ.	—
კასტორები და შევიოტები მამაკაცებისთვის ორგანიანი შავი და ფერადი 2 არშინიანი, არშინი დაწყებული	1 მ. 2 აბ.	—
ტრიკოები საკასტუიმე და საშარვლე უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისაგან ორგანიანი 2 არშინი სიგანე არშ. დაწყებული	4 აბ.	და ზევით
ყოველნაირი შალეულობის მატერიები სამხედრო უწყებისათვის სანჯანი და ხაკის ფერი, ყოველნაირი ფორმის სუკნოს მატერიები ყველა უწყების სასწავლებლებისათვის 2 არშინიანი არშინი დაწყებული	3 აბ.	და ზევით
თფილი პლიუშების, ბაიკების, ბამბეულობის საბნები დიდებისა და ბავშებისათვის ცალი დაწყებული	1 მ. —	და ზევით
პლედები და თავშლები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისაგან ც. დაწყ.	2 მ. 3 შ.	—
ხალიჩები ხავერდისაგან ცალი	2 მ. 2 შ.	—
შალეულობის დრაპრები (აკოშკების და კარების საფარები) ნაქარგი და სახიანი ყოველნაირი ფერის დაწყებული ცალი	5 მ. —	და ზევით
პლიუშების სუფრები ნაქარგი და სახიანი ცალი დაწყებული	4 მ. —	—
ფეხსავალი მატერიები ხავიანი და ჩუქურთმიანი არშ. დაწყებული	— 18 კ.	—

ტილოულობის განყოფილება.

გრინსბონი: სლავიანების, ინგლისელებისა და ტიროლისა, ბამბეულობა, ლანკორდი და მიტკლები არშინი დაწყებული	09 კ.	და ზევით
პიკეინი და ნაქსოვი საბნები ვაჟებისა და ბავშებისათვის ცალი	1 მ. 2 შ.	—
ტიკები მატრასებისათვის ტილეულობისა და ბამბ. 2 გ. ცალ-გან არშინი დაწყებული	12 კ.	და ზევით
პირსახოცები ფერადი და თეთრი	1 აბ.	—
ცხვირსახოცები დუჟინი დაწყებული	1 მ. 1 აბ.	—
პრიბორი თეთრი დაწყებული	3 მ.	—

ბამბეულობის განყოფილება.

სატინა სახიანი და სადა, ყოველნაირი ფერისა არშინი დაწყებული	17 კ.	და ზევით
შემიზები ინგლისის, ტილოულობა ზოლიანი და კუბოკრული არშინი დაწყებული.	13 კ.	და ზევით
ოკსფორდები და ხოლსტინკები ყოველნაირი ფერისა ბავშ. საფართუკ. არშინი დაწყებული	11 კ.	და ზევით
კრეტონები სახიანი და სადა ავეჯოულობისთ ყოველნაირი ფერ. არშინი დაწყებული	18 კ.	და ზევით
ბამბაზია ორგან. სახიანი (набивной) და სადა არშინი დაწყებული	2 შ.	—
ფულიარები და მუსლინები ჩითები ყოველნაირი ფერისა	08 კ.	—
ვიგონები ბამბეულობის ქალების კონფენქციონისთვის არშ. დაწყებული	23 კ.	—
ფარდები ცალეულათ (шторы штучные) ტიულისა ცალი	2 მ. 10 შ.	—
საუცხოო ფარდების ტიული (гординый) საარშინო. არშ. დაწყებ.	7 შ.	—
იუბკები დამზადებული ქვევით, აბრეშუმ., შალების და ბამბაზ. ცალი	1 მ. 2 აბ.	—
ბლუზკები ნაკერი აბრეშუმეულობის, ტიულების, შალეულობის ბამბაზიების ცალი	1 მ.	—

და აგრეთვე დიდძალი ნაჭერი საშობაო საჩუქრებისათვის.

მაღაზია ღია იქნება იაფობის დღეებში 9—1 საათამდი 3—7 საათამდი, ორშაბმთს 9 დეკემბერს დაკეტილი იქნება მაღაზია მთელი დღე მოსამზადებლათ.

„რადიუმი“ დღეს

ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲒᲐ.

სტამბოლის აღება სულთან მაჰმედ მეორის მიერ.

იერიში სტამბოლზე. წმ. სოფიის ტაძარში ქრისტიანების ამოჟლეტა. დიაცთა შეგინება და გაყიდვა გამარჯვებულთა ჰარამხანებში

ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ

სიცოცხლე მცდარია—სიყვარული წამიური.

АНОНС. надняхъ будет. демонст. Монопольная картина

Ключи Счастья

по ром. В. Вербицкой, инсценированному самим-авторомъ.

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქალ. ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ

გახსნა საკუთარი

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ

სტამბა საუკეთესოთ მოწყობილია და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეს—ქართულ, რუსულ და სხვ. ენებზე.

ქვრივი ეკატერინე პეტრეს ასული, აქიმები: სტეფანე და სიმონ ტიმოთეს ძენი მურვანიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი საყვარელი დედისა და უკანასკნელნი ბებიისას

გაიანე სტეფანეს ასულის ეზიკოვისას.

გამოსვენება თფილისის ქუჩაზე საკუთარი სახლიდან საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია კვირას, 8 დეკემბერს, 3½ ნახ. საათზე.

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი დარისპან ვახტანგის ძე და ედუკია ლუკას ასული, ანტონინა მიხეილის ასული, დავით, ვლადიმერ, ნინო და მარიამ გაჩეჩილაძეები. ივლიტა დარისპანის ასული და ნესტორ ეგნატეს ძე კიკალიშვილები, პელაგია დარისპანის ასული და ივანე ექვთიმეს ძე კუხიანიძეები უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაღიკულათ გადაცვალებას: პირველნი შვილის, მეორენი საყვარელი ქმრისა და მამისა, ხოლო უკანასკნელნი ძმისა და ცოლის ძმის

ნიკოლოზ დარისპანის ძის გაჩეჩლაძისას.

მიცვალებულის დასაფლავება დანიშნულია კვირას, 8 დეკემბერს, ნაშვადღევის ორ საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ხუთ საათზე. გოშპიტლის ქუჩა, საკუთარ სახლში.

ტერ-გასპარიანცი.

ტერ-გასპარიანცი! ნუთუ არაფერს გეუბნებათ, მკითხველო, ეს გვარი? შეიძლება ბევრი თქვენთაგანი მას პირადათ არ იგონებდეს, ბევრს, შეიძლება, მასთან არც არაფერი საქმე ქონოდეს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ყველა თქვენთაგანმა კარგათ უწყის ამ სახელოვანი გმირის საქმენი საგმირონი. იგი იყო ერთი იმათგანი, რომელთა ღვაწლი და შრომა, რომელთა კარიერაც ჩვენი ქვეყნის მართველთა სავარძლით იწყება და ბრალდებულის სკამით თავდება, შეიძლება ყოველთვის ეს ასე არ იყოს, პირიქით, ბევრი მათგანი ხშირათ უფრო მაღლა მიიწევს, ძალა და უფლებაც ემატება, ბევრს გამარჯვებულათ ულიმის ბედის ვარსკვლავი და ბოლოს პენსიის მეოხებით მოსვენებასა და განცხრომაში ატარებს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს, მაგრამ ხშირათ, ძალიან ხშირათ, ბედის ვარსკვლავი მათ ღალატობს და უკვე ერთი ნაბიჯიც აღარ რჩება, რომ დღეს ამა ქვეყნის ძლიერმა ხვალ სატუსაღოში ამოყოს თავი, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის“ თავდადებულ მებრძოლს არც საკუთარი ჯიბე აყავს მომდურებული. ხანგრძლივი არ ყოფილა „გასპარიანცის ეპოქა“, მაგრამ მან თავისი „უდრეკი და დაუშრეტი“ ენერგიის წყალობით შესძლო პირნათლათ შეესრულებია თავისი მისია, რომელიც ორი მუხლისაგან შესდგება: ოფიციალურისა და კონფიდენციალურისაგან. ოფიციალურათ იგი ჩვენი პირველდაწყებითი, სახალხო შკოლების მართველათ იყო წარმოგზავნილი, და მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ იგი არავითარ საშვალებას არ დარიდებია არც ოფიციალურსა და არც არაოფიციალურს, რომ ქართველ ჩვილთა გადაგვარების საქმე სათანადო, სასურველ წერტილამდი მიეყვანა. კონფიდენციალურათ შეიძლება არც არავის წარმოუვზავნია იგი და მით უფრო არ დაუვალებია მისთვის, რომ სახელმწიფო სალაროს მალამო მოსცხეო, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ზომას გადაცილებული ენერგიისა და ერთგულების მეოხებით, მან შესძლო ცხოვრების საღსარი გამოენახა ტ. მართლაც, „ინსპექტორულათ“ ეცხოვრა, მან ოფიციალური ხაზინის ფულები არა ოფიციალურათ გადააგზავნა საკუთარ ჯიბეში. ამგვარათ მან შესძლო ცალი ხელით ორი საქმე გაეკეთებია: იმ ოფიციალური დადგენილებისათვისაც მოეწერა ხელი, რომელსაც ქართველი ყრმანი უნდა გადეგვარებია და იმ „ორდერისათვისაც“, რომელსაც მის ჯიბემდი სახაზინო ფულები უნდა მიეგორებია. დიახ, მან შესძლო ის, რაც ბევრს მასსავით არა შორსმჭვრეტელ პედაგოგს არ შესძლებია, მხოლოდ მან ვერ შესძლო მიეწია სამსახურის იმ საფეხურამდი, რომლისადმი მიწევითაც ბევრი გაბედნიერდა, მან ვერ შესძლო ინსპექტორობიდან დირექტორის სავარძელზე წამომჯდარიყო, ვინაიდან რუსეთის იმპერიაში ოფიციალური ხაზინის გარდა ოფიციალური სასამართლოებიც არსებობს, სადაც მარადის მზათაა თავისუფალი ადგილი ოფიციალური დამნაშავისთვის. ამგვარით აკტი დამთავრდება და დათავდება ერთი „რუსიფიკატორის“ სახელოვანი „ეპოპეია“, მაგრამ დამთავრდება თუ არა „შორსმჭვრეტელ პედაგოგთა“ ხელში ქართველ ყრმათა ტანჯვა-წამება, ბოლო მოეღება თუ არა „პოლიტიკანობას“ ჩვენს სახალხო შკოლებში, სავსებით მოესპობათ თუ არა ნიადაგი „ტერ-გასპარიანცებს“ ჩვენს სასწავლებლებში, „საკითხავი აი, ეს არის?“.

იმერი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

გაზეთ „რუსკოე სლოვოში“ თფილისიდან შემდეგი შინაარსის დეპეშია მოთავსებული: „კავკასიაში მეფ ს მოადგილის გადაწყვეტილებამ პოლიტეხნიკუმის აშენების შესახებ . ნავთლუღში, რომელიც თფილისის სომხებს ეკუთნის, ძლიერ გაამწვავა ეროვნული დამოკიდებულება. ქართველ ნაციონალისტებს მითქმა-მოთქმა აქვთ სომხების ეკონომიურ ბოიკოტზე. გაზეთი „ზაკავკაზიე“ მეფის მოადგილის გადაწყვეტილებას სამართლიანობაზე ტლანქი ძალის გამარჯვებას უწოდებს. „ზაკავკაზსკაია რეჩი“ ამბობს, რომ მეფის მოადგილის გადაწყვეტილება თფილისს სომეხთა სატახტო ქალაქათ გადაქმნის, რადგან ნავთლუღში აგებული პოლიტეხიკუმი ქართველებისთვის უსარგებლოა. ქართველთა შორის აგიტაციაა გამართული, შვამდგომლობა აღიძრეს პეტერბურგში ხელახალი გადაწყვეტილების შესახებ, რაიც შენობის აგების საქმეს აყოვნებს. მხოლოდ ქართული დემოკრატიული გაზეთები ლაპარაკობენ თავდაჭერილათ“. საკვირველია, „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი, რომ ასე თავისუფლათ აფათურებს ხელს ჩვენს სულსა და გულში საიდან შეიტყო მან, რომ ქართველები ბოიკოტის გამოცხადებას ეპირებიან, როდესაც ამის მზგავსი ჯერ არაფერი ყოფილა და არც ვისმე უფიქრია. ნუთუ იგი ვერ ხვდება, რომ მისს ამგვარ საქციელს ცოტა არ იყოს პროვოკაციის სუნი უდის?

✦ ქალაქის გამგეობამ ცნობა მიიღო გუბერნატორისგან, რომ მთავრობას შეუწყნარებია ქალაქის თვითმართველობის შვამდგომლობა პოლიციის ვალის გადახდის განაწილების შესახებ 20 წლის ვადით. ეს ვალი უდრის 92 ათას მანეთს. ქალაქის გამგეობა ვალდებულია ყოველწლივ ქალაქის ხარჯთაღრიცხვაში ვალის მეოცედი ნაწილი შეიტანოს.

✦ ორშაბათს, 9 დეკემბერს, ქალაქის საბჭო განიხილავს ვარლამ ჭილაძის წინადადებას შესახებ იმისა, რომ შვამდგომლობა აღიძრეს სათანადო მთავრობის წინაშე, ქუთაისში 8 კლასიანი კომერციული სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ სათათფიროს საადგილ-მამულო მცირე კომისიამ ქუთაისისა და თფილისის გუბერნიაში ხიზნების მოსპობის კანონპროექტი მოიწონა.

✦ ბაქოს ქალაქის საბჭომ კავკასიის მეფის მოადგილეს პოლიტეხნიკუმისათვის შეწირულობისა და ნავთლუღის არჩევის გამო მადლობა გამოუცხადა.

✦ „ბატუმსკი დენს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობიებენ: სათათფიროს ფინანსიურმა კომისიამ დაადგინა გამოიყიდოს მემამულეებისაგან 1884 წლის ფასით ხიზანთა მამული.

✦ კოოპერატორთა მეორე კრება თფილისში მომავალი წლის გაზაფხულზე მოხდება.

✦ ქალაქის საფინანსო კომისიამ დასრულა მომავალი წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის პროექტის განხილვა და მომავალ კვირაში ხსენებული პროექტი ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველათ.

✦ 1 დეკემბრიდან შავიქვის მრეწველთა საბჭომ ჭიათურაში გახსნა საავთმყოფო ავთმყოფ პირუტყვთათვის. საავთმყოფო ვლ. წერეთლის შენობაშია მოთავსებული.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭო ვლადიმერ წერეთელს კინემატოგრაფისთვის უფასოთ აძლევს ელეკტრონის ენერგიას იმ პირობით, რომ წერეთელმა უფასოთ აჩვენოს შავიქვის მრეწველთა სასწავლებლის მოწაფეთ ისეთი სურათები, რომელნიც მათ გონებრივ განვითარებას ხელს შეუწყობს.

✦ დღეს, დილის 10 საათზე დაბა სამტრედიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბაზრის სასწორისა, სასაკლაოსი და იარმუკის გახსნის შესახებ.

✦ დღეს თეატრ „რადიუმში“ ია ეკალაძის მაგიერათ, მისი ავთმყოფობის გამო, ლექციას წაიკითხავს გრ. გიორგაძე.

✦ გუშინ შეცთომით გვქონდა მოხსენებული, რომ დღეინდელი წარმოდგენა სახალხო უნივერსიტეტის სექციის სახელით იმართებოდეს. ეს წარმოდგენა კერძო სცენისმოყვარეთა მიერ იმართება.

✦ დღეს, საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში „სასწავლებლებისა და ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა მიერ ამ საზოგადოების პირველი საზოგადო კრება არის მოწვეული. საჭიროა, ამ სიმპატიურ საზოგადოებას თანაგრძნობით შეხვდეს ხალხი და ხსენებულ კრებაზე დაესწროს.

✦ ციხიდან გაათავისუფლეს გაზ. „იმერეთის“ რედაკტორი გ. ჭელიძე და „თანამედროვე ქვეყნისა“ ჯანელიძე.

✦ ოთხშაბათს, 11 დეკემბერს, ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტი ელეკტრო-თეატრ „რადიუმში“ საზოგადოების საშვალებათა გასაძლიერებლათ სეანსებს გართავს.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ.

რუსეთის წინადადება, ოსმალეთისადმი ფინანსიური ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, საფრანგეთმა არ მიიღო.

— „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ოლგენინი ბულგარეთიდან გააძევეს.

— ჯიოკონდას სურათის სანახავათ ფლორენციაში ყოველდღე ოცი ათასი კაცი მიდის.

— ბეილისის მემუარები კიევში ამერიკელი ჟურნალისტების წარმომადგენლებმა ექვსი ათას მანეთად იყიდეს.

— ოკტობრისტთა ფრაქციიდან, უთანხმოების გამო, ხუთი დეპუტატი გავიდა.

— შინაურ საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი სახელმწიფო საბჭოს წევრათაც ინიშნება.

— ჯიოკონდას სურათის ორი გამტაცებული პარიზში დააპატიმრეს.

— სუფრაჟისტმა ქალებმა ლივერპულის მახლობლათ მე XI საუკუნის ეკლესიას ცეცხლი გაუჩინეს.

— ოკტომბრისტთა ფრაქციის თავჯდომარე ანტონოვმა ფრაქციის თავჯდომარეობაზე უარი განაცხადა.

— ავიატორი ვასილიევი პარიზში უნდა გადაფრენილიყო, გერმანიამ თავის ტერიტორიაზე გადაფრენა აუკრძალა.

მოწერილი ამბავი.

ლაილაში დაიწვა! საშინელი უბედურება დატრიალდა 5 დეკემბერს ლაილაში. ცეცხლმა სრულიად გაანადგურა ეს დაბა. შველა შეუძლებელი შეიქნა, რადგან ძველი ხის სახლები ისე მჭიდროთ ყოფილა მიდგმული ერთმანეთზე, რომ რაკი ერთს სახლს გაუჩნდა, ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა, მთელს უბანს მოედვა, შემდეგ სხვა უბნებზე გადავიდა და ფერფლათ აქცია იქაურობა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე სახლი. პირველათ ცეცხლი გასჩენია ღამის 11 საათზე გრიგოლ ბერუჩაშვილის სახელოსნოს. მიზეზი ჯერ დანამდვილებით ვერ გავიგეთ, შემდეგ გადასულა ჩრდილოეთ დასავლეთის მხრისკენ, სადაც უმთავრესათ ებრაელები ცხოვრობენ. დაახლოებით 300 შენობა უმსხვერპლია ცეცხლს. ზარალი თურმე ორას ათას მანეთს აღემატება. აუწერელ გაჭირვებაში იმყოფებიან გადამწვარნი; უსახლკაროთ ცას ქვეშ ყრიან და არ იციან თავი სად შეაფარონ.

ზამოსული.

ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘ*).

ორი დეკემბრის ქალაქის საბჭოს სხდომა ისტორიულია; ამ სხდომაზე ჩვიდმეტმა ხმოსანმა გადასწყვიტა სამი მილიონი სესხის აღება მუნიციპალური საქმეების განსახორციელებლათ.

ვინც კი გაითვალისწინებს ჩვენი ქალაქის სიღარიბეს და მცხოვრებთა გაჭირვებას, დამეთანხმება, რომ სამი მილიონის სესხათ აღება, მისი სარგებლისა და თანხის გადახდა მართლა რომ გასაჭირი იქნება, ხოლო ის დიდი საქმენი, რაც ამ ფულით უნდა შეექმნათ, ღმერთმა უწყის, როგორ წავა და რითი დაბოლოვდება! მაგრამ ჩემთვის კიდევ ის უფრო გასაკვირალი და გაუგებარია, რომ დღეს როდესაც ასეთი, ცოტა გაზვიადებულათ რომ ვსთქვათ, ისტორიული მომენტი დგება, რომელიც მერმისში, ვინ იცის, რას უქადის ჩვენს სამოქალაქო საქმეებს, აი სწორეთ ამ დროს გარშემო ჩამი-ჩუმიც არ ისმის: არც პრესაში ირკვევა ეს საკითხი და არც თვით სასოგადოებაში იწვევს ყურადღებას, სჯა-ბაასსა და მითქმა-მოთქმას.

რას ნიშნავს, არ მესმის! ვიღებთ სამ მილიონზე მეტ სესხს, და ეს ეხება არა მარტო იმ 17 ხმოსანს, რომელიც ასე „larga manu“-თ ირჯება, არამედ ყველას, სათითაოთ ყველა მცხოვრებს. სამოცი ათასი მცხოვრების ინტერესს და ბედ-ილბალს მხოლოდ 17 კაცი სწყვეტს, ამავე ღროს კი გარშემო სიჩუმეა. საჭიროა, მიიღონ მონაწილეობა ამ საკითხის გამორკვევაში იმ პირებმაც, ვინც თუმცა ხმოსნებათ არ არიან არჩეულნი, მაგრამ უფრო მეტი გამოცდილებაცა და ცოდნაც აქვთ სწორეთ ამ სფეროში და მათი რჩევა და სიტყვაც დიდი დასაფასი იქნება ამ საქმეში. დიახ, მაკვირვებს ეს საერთო ინდიფერენტიზმი... მაგრამ, რაღა გასაკვირველია და რაღა დასამალიცაა, რომ თვით ხმოსნებიც დიდათ უგულოთ ეკიდებიან ამ საბედისწერო საკითხს: ორმოცდა ორ ხმოსანში დიდი-დიდი ოცი, ოცდა ორი, სამი ხმოსანი მოვიდეს სხდომაზე, ისიც მეათე საათზე, ისიც დიდის პატიჟისა და შიკრიკების გაგზავნ-გამოგზავნას შემდეგ. მართლაც, ამ ისტორიულ სხდომაზე სულ 22 კაცი დაესწრო, სადღა იყვენ დანარჩენნი, რატომ არ ინებეს მობძანება და ამ საშვილი-შვილო საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება?

ასეც მოხდა 2 დეკემბერს, მხოლოდ ჩვიდმეტმა კაცმა გადასწყვიტა იმ ორ მილიონ ნახევარს, რომლის სესხათ აღებაც წინა სხდომებზე გადასწყდა წყალსადენის, ელეკტრონისა და ტრამვაის საქმის განსახორციელებლათ, კიდევ 600,000 მან. სესხის მიმატება კანალიზაციისთვის, ამ რიგათ ნავარაუდევმა სესხმა სამ მილიონს გადააბიჯა.

ქალაქის ინჟინერის გამოანგარიშებიდან ჩანს, რომ კანალიზაცია ყოველწლივ, თუ ისე განხორციელდა როგორც ის ფიქრობ, მოითხოვს წლიურ ხარჯს 62,000 მან. რაც, რასაკვირველია, დაედება გადასახდელათ მცხოვრებლებს, იგათ, ვისაც პირდაპირი გადასახადები ვერ გადაუხდია და დატვირთულია „ნედოიმკებით“, სწორეთ მაშინ, როდესაც ყოველმა გადასახადმა უმწვერვალეს წერტილამდი მიაწია. ვინ იქნება ისეთი შეუგნებელი, რომ არ ესმოდეს კანალიზაციის მნიშვნელობა ჯანმთელობისთვის, ვინ უარყოფს მის მნიშვნელობას; მაგრამ ადამიანმა ყოველი საქმის განხორციელებაში იმდენი გონიერება უნდა იხმაროს თან, რომ ასწონ-დასწონოს ყოველი მხრით დაწყებული საქმე და უპირატესობა ჯერ იმას უნდა მისცეს, რაც პირველს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ჯანმთელობას მართალია კანალიზაცია ხელს უწყობს, მაგრამ იქ სადაც ლუკმა პური გასაჭირია, იგი რას უშველის? ეს ისევე ის იქნება, რომ მშიერი ადამიანი მარმარილოს აუზში აბანოთ.

ფრანგები იტყვიან, ადამიანს მადა ჭამის დროს მოუვალ. სწორეთ ისე მოგვივიდა. საჭირო და აუცილებელი იყო საღი წყალი, მაგრამ ვერა გზით წყალსადენი ვერ მოვაწყვეთ. ოცი წელიწადია ხალხი წყალს თხოულობს, მაგრამ ვერ ვალირსეთ წმინდა წყლის მიწოდება, ახლა კი, ნაკარქექიასი არ იყოს, მოვინდომეთ უცბათ, ერთად ხელის ჩაჭიდება წყალსადენს გარდა, ელეკტრონით განათებას, ტრამვაისა და 2 დეკემბერს, სრულებით

*) რედაქცია არ ეთანხმება ავტორს ამ წერილისას და თავისს აზრს გამოსთქვამს ამ საგულისხმო საკითხზე, რომელსაც ეს წერილი ეხება.

მიიღება ხელისმოწერა

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ერ"-ზე

1914 წელს გამოვა იმავე პროგრამითა და სახით, როგორც გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეულოდნელათ, 600,000 მანეთიანი კანალიზაციაც მოახვიეს სუყველა ამას. კანალიზაცია, რომელიც თვით მოსკოვშიც არ არის სავსებით განხორციელებული, დღეს ქუთაისში უნდა შექმნან ნასესხები ფულით, რომლის სარგებელსაც კი ვერ გადვიხდით. ვინც მდიდარია რა უჭირს, ღარიბმა იკითხოს! ღმერთმა ქნას, რომ კარგათ დაგვირგვინდეს ეს განზრახული საქმე, მაგრამ ძლიერ ვეჭვობ... საჭიროა ამ საქმეში საზოგადოების ჩარევა.

მოქალაქე.

გაცრუებული იმედი.

სისომ სოფლის დუქანში აბაზიანი პური იყიდა, იღლიაში ამოიდვა და შინისკენ გასწია.

ყიდვის დროს, „მას ცოტა დაეზარა ქისის თავის მოხსნა, მაგრამ ახლა კი დიდ სიამოვნებას გრძნობდა:—

— მივალ შინ თუ არა, ირგვლივ შვილებსა და შვილისშვილებს შემოვისხამ და ყველას დავაპურებ... რა გაეხარდებათ პატარა ბავშებს! ჩემი ცოლი სულ იმას მესაყვედურება, რომ შინ ხელცარიელი ვბრუნდები, ახლა კი მეშველა, ვერაფერს მეტყვის

ასეთ ფიქრებში იყო გართული სისო, რომ გზაზე ძაღლი დაინახა, სახეზე სიხარული დაეტყო და დაუძახა:

,,მურია მწუ-მწუ! მოდი, მოდი...

ძაღლი ჯერ დაფრთხა, შემდეგ როცა სისო. კარგათ დაათვალიერა, უცბათ მოლბა კუდი გააქიცინა და მისკენ ნელა წაიწია.

— მოდი, მურია, ნუ გეშინია! შე საწყალო, რა გამხდარხარ, მარხულობ? მოდი... მოდი... რა კარგი ძაღლია! შინ ხო წამომყვები მურია??... იცოდე მთელ ოჯახს შენ ჩაგაბარებ... შენს მეტი ძაღლი არ მინდა!... ხომ წამომყვები, მურია, გაქმეე, გასმეე, მოგივლი...

მურია მიწაზე ხოხვით, ფორთხვით მიიწევდა სისოსკენ, ხახას ღიმილით აღებდა და ახალ პატრონს მხიარული თვალებით ჩასცქეროდა.

— ღმერთმანი, ავშენდი! მთლად ავშენდი! ჩემი სახლი აწი ქურდ-ბაცაცებისაგან დაცული იქნება! კარგი ძაღლი შემხვდა!—სთქვა სისომ. ძაღლს ხელი გადუსვა და შინისკენ გასწია.

მურია თან მისდევდა.

სახლამდი კიდევ შორს იყო და სისომ ერთიქხის ძირას ჩრდილში დასასვენებლათ დაჯდა და თუთუნის ქისა წელიდან გამოიღო.

მურიაც იქვე ახლო მის უკან წამოწვა.

სისომ ჩიბუხი გამორეკა, თუთუნით გაავსო, დაკვესა, აბედი ჩიბუხზე დასდვა, რომ ზურგსუკან ხმაურობა შემოესმა:

გაიხედა და პირიდან ჩიბუხი გაუვარდა მისი პური, მის მურიას პირში გაეჩარა და გარბოდა...

— კა მაგას!—მიაძახა სისომ, წამოხტა, ჯოხს ხელი მოავლო და გამოუდგა:—

— აი, შე წუწკო! ვერ წახვალ! თვარა და ამას მელაქუცებოდი შე ქოფაკო! სად წამიხვალ შე მგლის არჩივო!..

ოჯახის შესანახათ აგიყვანე, და შენ პირიდან ლუკმა გამომაცალე?! არ გოუშვათ!.. ყვიროდა სასოწარკეთილებას მიცემული სისო, მაგრამ მურიას ეს არ ესმოდა.

ჯ. ჯორჯიკია.

პარიზიდან.

დღეს პატარა ეკსკურსია მინდა მოვახდინო ლინგვისტიკაში. ნურსად გამამხელთ-კი, და კარგათ არც ვიცი, ლინგვისტიკა ეს, თუ სხვა რამ ტიკა, ფონეტიკა, გრამატიკა, თუ სხვა რამე. და ან კი რათ უნდა გავიჭვირო საქმე:—ჩავუარდები ხელში ჩვენი ენის მკვლევარებს და აქიდან-იქიდან მსტიკავენ... რა მსჯის!.. ვიტყვი დაბიურათ:—დღეს უნდა გავინაგარდო სიტყვისტიკაში.

მაგალითად, საიდან წარმოიშვა სიტყვა ტერ-გასპარიანც? ნაწილი პირველი ამა სიტყვისა—ტერ არის შემოკლებული მ-ტერ, ანუ შ-ტერ. მართლაც, სულ შტერი უნდა იყოს ენათ მკვლევარი, თუ ისიც არ იცის, რომ ორი უხმო ასო ერთად უმეტეს ძნელი გამოსათქმელია, ვიდრე როცა უხმოს ხმოვანი მისდევს. ამნაირათ კეთილხმოვანობისთვის გამოაკლდა მ, შ და დარჩა—**ტერ**. ეს თავსართი ამა სიტყვისა. შემდეგ ძირი სიტყვისა გასპარ. ეს ს ძერეა ჩაკვეტებული შიგ, თვარა უნდა ყოფილიყო გაპარ; გაპარება, გაპარვა, პარვა, მოპარვა —სულ ამ ძირიდანაა წარმოებული და წარმოშობილი. ჩემი ღრმა დაკვირვებით ისიც მგონია, რომ ასო პ-ს ნაცვლად აქ შეიძლება ფ-ც ჩავსვათ და მივიღებთ ფარ, ანუ შემოკლებული ფარა (ფული), მარა ეს იმაზეა დამოკიდებული—ფარობით იპარავ, თუ პარტიობით. უკეთუ—პარტიობით, მაშინ ფარის ნაცვლად პარ უნდა დარჩეს. ამ სახით სიტყვა მტერ-გასპარიანც, თუ შტერ-გასპარიანც, დროთა სვლისა და ენის ცვალებადობის ზეგავლენით გადაიქმნა ტერ-გასპარიანცათ.

რაც უნდა მიკიჟინონ პატივცემულმა მკვლევარებმა იამ, მოსემ, ნიკომ და მიხაკომაც, ამ ჩემს ღრმა დაკვირვებას შემდეგ ნაკვლევსა და გარკვეულს აზრს ვერ შემიცვლიან. თვით რეალური ფაკტი, ფაკტი საბუთოვანი, სამფუთოვანი მაქვს ამისი. გასპარა, იპარა, ფარა—ეს სულ ერთი ძირისაა...

ჰო, მართლა, ბოლოსართი—იანცი—აკი, დამავიწყდა. ეს თქვენ, იქნება, იანცეკიანგი გგონიათ? სად მიდიხართ, აგერაა, ორ ნაბიჯზე:—ხატისიანც, სოლოლაკიანც, თუმანიანც, არღუთიანც, ნავთლულიანც, სულ ქალაქლებმა არიან, მაშა! და მათთან ჩვენი დასელიანცებიცაა! —ყველამ ერთად ითამაშა... სოლოლაკი უყვართ, უყვართ, ჩვენს დასელებს, მარა ერთხელაც იქნება, ცუდათ დაახველებს მათ საბურთალო! მანამ კი იბურთალონ...

ეს წესელი ნანობაშვილიც ძაან ბურთაობს თურმე... წესი რაჭაში გახლავთ და ეს ნანობაშვილი იქაური ფოშტის მოწესრიგე ყოფილა, მარა უცნაური წესი შემოუღია, სასტიკათ აუკრძალავს თავის მოხელეებისთვის, რომ სამკითხველოში ფეხი არ შედგათ, გაზეთი არ წაიკითხოთ. თქვენთვის საკმაოა ფოშტა-ტელეგრაფის „უსტავები", „ტარიფი", მე ვარ თქვენი ხალიფი და უკეთუ გადასულხართ ჩემს ნებას, მოელოდეთ აქიდან წაბძანებას და ერთი ორი კიდეც გამოუბძანებია...

მარა ასეთი წესიერი წესები, ჩვენ რო წყესები გვყავს—ყორანსა და ყვავს!

კვირიკე.

პასუხი ნიკ ჯორჯიკიას.

„ეტიმოლოგიური შენიშვნები"-ს გამო.

(იხ. „განთიადება № VII)

მე ჩემი წერილი—„ისტორია-ეთნოგრაფიული საზოგადოების საყურადღებოთ" (წერილი წალენჯიხიდან),*) რომელშიც, სხვათა შორის, გაკვრით აღვნიშნე, თუ საიდან, რომელი ძირიდან უნდა იყოს წარმოშობილი სიტყვა „წალენჯიხა, — დავასრულე შემდეგი სიტყვებით:—შესაძლოა ყველა ეს მოსაზრება შემცთარი იყოს და სასიამოვნო იქნება, თუ ვინმე უფრო ჭეშმარიტ ცნობებს გამოაქვეყნებს ამის შესახებ"-მეთქი... მართლაც, ბ-ნმა ჯორჯიკიამ, განიხილა ჩემმიერ მოყვანილი მოსაზრება, აღნიშნა მისი ვითომდა სიყალბე, წამოაყენა მეორე აზრი—სახელი „წალენჯიხას" წარმოშობის შესახებ და კატეგორიული კილოთი ამბობს, რომ ეს სახელი წარმოსდგა თანდათანობით სრული ფორმიდან „ჭალეში ჯიხა (ჭალის ციხე), ან კიდევ უძველესი ფორმისაგან „ჭანი", ჭანის ჭალი, ჭანის ჯიხა. ჭანჯიხა, ჭალენჯიხა"... მაგრამ ეგ ხომ ახალი აზრი არ გახლავთ; აგრეთვე ხსნის ამ სიტყვას საქართველოს ცნობილი გეოგრაფი ვახუშტი (იხ. ამის გეოგრაფია გვერ. 302, შენიშვნა. 503. გამოც. ჟურნ.: „მოგზაურისა" 1904 წ.) ასე, რომ ბ-ნ ჯორჯიკიას აქ ახალი არაფერი უთქვამს... მაგრამ, მე მგონია, ესეც შემცთარი აზრი უნდა იყოს, ვინაიდან ასეთი სახელი მხოლოდ მაშინ შეეძლო მიეღო ადგილობრივ ჯიხას (ციხეს), თუ იგი, მართლა, ჭალაზე იდგებოდა; მაგრამ არაფერს ამის მზგავსს ჩვენ რომ აქ არ ვხედავთ?. და მაშინ ეს სახელი უფრო შეეფერებოდა წალენჯიხის მესაზღვრე სოფლებს „ჯგალი"-სა და სკურის კარს, სადაც ციხე-კოშკები მართლა პირდაპირ ჭალაზე, ზედ მდინარის პირას დგას, მაგრამ როგორ შეეძლო მოეპოვებია ასეთი სახელწოდება წალენჯიხას, სადაც მზგავსი არ არის და ყველა ძველი ციხის ნანგრევ-ნაშთებს მხოლოდ გარემო მთაგორებზე ვპოულობთ... ამიტომ მე ეს აზრი თვით ვახუშტისაც შემცთარათ მიმაჩნია და უფრო საფიქრელათ და დასაჯერებლათ-კი ის, რომ ამ ადგილს პირდაპირ თვისი გეოგრაფიული მდებარეობით მიეღოს ეგ სახელი „წალენჯიხა—უწინდელი ფორმა „ჭალე-ჯიხა"-დან (ჭალა-ციხე, ანუ ციხე-ჭალა), როგორც, გალავან მორტყმული ციხის მზგავსათ, კედლებივით დაქანებული მაღალი მთაგორებით ვიწროთ შემოზღუდულ ჭალას. ხოლო, როცა ვამბობდი (იხ. „იმერეთი" 98-ე №), შეიძლება სიტყვა წენჯიხა (ქართ. წალენჯიხა)—წელიში ჯიხა (წენის ციხე)—დან იყოს წარმომდგარი მეთქი, უმთავრეს სახელმძღვანელოთ მქონდა მხედველობაში არა თანამედროვე ქართული ფორმა ამ სახელის გამოთქმისა, არამედ სიტყვები: „წენდიხა და წენჯიხა", ხოლო მდინარეს „წენჭყარა", როგორც დღესაც უწოდებენ ამ ადგილს მისი ღვიძლი შვილები—მეგრელები და არა „წალენჯიხა", „წენწყარა და სხვა.,. ხოლო „წენჯიხა", თუ წენჭიხა" უახლოვდება—„ლ"-ს „ნ"-ათ გამოცვლით სიტყვა—„წელიში ჯიხა"-ს..

დასასრულ თქვენ ამტკიცებთ, რომ მეგრულ ენაშიც, როგორც ქართულში ჩქარი გამოთქმის დროს ნათესაობით ბრუნვაში ხშირათ იკარგება ,,ში" ეგ თუნდა აგრე იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენი მტკიცების მთავარი დებულება იმდენათ არ იპყრობს ჩემს ყურადღებას, რამდენათაც ამ დებულების დასადასტურებლათ მოყვანილი ახირებული მაგალითები. აი ისიც (მომყავს თქვენი სიტყვები უცვლელათ).

„ქომოლი სკუა (ქომოლიში სკუა-ს მაგიერ)—ვაჟიშვილი; ოსურ-სკუა (ოსურიში სკუა-ს მაგიერ) ქალიშვილი და სხვა"...

„ქომოლიში სკუა", „ოსურიში სკუა" ქართულათ ითქმის: „ვაჟის შვილი, ქალის შვილი, რაც ნიშნავს იმას, თუ ვისი შვილია ანუ ვისგან არის ნაშობი პიროვნება! ხოლო „ქომოლი სკუა და ოსური სკუა,—ქართულათ ვაჟიშვილი, ქალიშვილი სახელობით ბრუნვაში თვით პიროვნების სქესის გამომხატველია, ე. ი. გვიჩვენებს, თუ რომელ სქესს ეკუთნის პიროვნება და არა იმას, თუ ვის მიერ არის პიროვნება შობილი. თქვენ-კი ამ სიტყვების პირველ ნახევარს ნათესაობით ბრუნვაში სვამთ და გამოდის ისეთი უხერხული აზრი, რომ ვკითხულობ და არა მსურს დავიჯერო, რომ იგი თქვენისთანა დაკვირვებული ადამიანის მოსაზრებას შეადგენს და თქვენის კალმით არის დაწერილი. ე. ი. გამოდის, რომ ,,ვაჟიშვილი" ანუ მამა-კაცი—არის ვაჟის შვილი ან ვაჟის მიერ ნაშობი, ხოლო ,,ქალიშვილი" ანუ დედაკაცი—არის ქალის შვილი, ე. ი. ქალის მიერ ნაშობი..

ამნაირათ, ეს თქვენმიერ მოყვანილი მაგალითები ყალბი გახლავთ და არცა კმარა იმის დასამტკიცებლათ—ქართულსა თუ მეგრულ ენაში ჩქარი გამოთქმის დროს იკარგება, თუ არა-,,ში"—

ილ. ბოგიტ.

*) „იხილე გაზ. „იმერეთი" 93, 94 და 98. №№-ბი.

ზამთარი.

ფერნამკრთალ ველზე ხუხუნით
გაკივის ქარი, სისინობს,
ყინვის ბორკილში მგმინავი
ხეგში ანკარა ქვითინობს.
ქარიშხლის ფრთებზე ჰაერში
თოვლის ფიფქს გააქვს ტრიალი,—
ჰოი, ზამთარი, ზამთარი,
შავი ზამთარი ტიალი!...

—

გადაჭკნა ბალი ვარდისა,
გულს მოხვდა სევდის იარა,
შავ ყორანთ შავმა ღრუბელმა
ჩხავილით გადაიარა.
ამევსო შხამით წვეთ-წვეთად
შურისძიების ფიალი,—
ჰოი, ზამთარი, ზამთარი,
შავი ზამთარი ტიალი!..

—ცვარ-ნამი.

ინგლისი.

ფლორენცია. საერთაშორისო კომისიამ ალბანეთისა და სერბიის საზღვრების შესახებ ერთხმათ მიიღო ინგლისის წინადადება.

სტამბოლი. მთავრობის ორგანოში პოლიციელთა უფროსის აზმი-ბეის სამსახურიდან დათხოვის ბძანებაა გამოქვეყნებული.

სტრასბურგი. ცაბერნის პოლკის პოლკოვნიკის ფორსტნერის საქმის გარჩევის დროს პოლკოვნიკმა განაცხადა: ბძანება დაუგზავნე აფიცრებს რომ ელზასლების მიმართ ურიგო საქციელი არ ჩაედინათო.

ბუქარესტი. სენატმა ერთხმათ მიიღო ბულგარეთისაგან დათმობილი ადგილების ანექსიის პროექტი.

სტამბოლი. სამხედრო წესები გაძლიერეს. პოლიციას აცნობეს, რომ ბერძნების მიერ დატყვევებული აფიცრების შორის ბევრია დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგი, რომელთაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების შეცვლა უნდათ. შეთქმულების ერთმა მონაწილემ შეთქმულება გასცა.

ალბანეთი.

ფლორენცია. საერთაშორისო კომისიამ ალბანეთისა და სერბიის საზღვრების შესახებ ერთხმათ მიიღო ინგლისის წინადადება.

სტამბოლი. მთავრობის ორგანოში პოლიციელთა უფროსის აზმი-ბეის სამსახურიდან დათხოვის ბძანებაა გამოქვეყნებული.

სტრასბურგი. ცაბერნის პოლკის პოლკოვნიკის ფორსტნერის საქმის გარჩევის დროს პოლკოვნიკმა განაცხადა: ბძანება დაუგზავნე აფიცრებს რომ ელზასლების მიმართ ურიგო საქციელი არ ჩაედინათო.

ბუქარესტი. სენატმა ერთხმათ მიიღო ბულგარეთისაგან დათმობილი ადგილების ანექსიის პროექტი.

სტამბოლი. სამხედრო წესები გაძლიერეს. პოლიციას აცნობეს, რომ ბერძნების მიერ დატყვევებული აფიცრების შორის ბევრია დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგი, რომელთაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების შეცვლა უნდათ. შეთქმულების ერთმა მონაწილემ შეთქმულება გასცა.

დაბა-სოფელი.

სოფ. მანდაეთი (ზემო იმერეთი). ვინც კი ყოველდღიურ გამოცემებს თვალყურს ადევნებს, იშვიათად, თითქმის სულ არ შეხვდებოდა რამე დაწერილს ამ სოფლის ჭირ-ვარამზე. სავალალო კი ბევრი რამ აქვს. ეს სოფელი ეკუთნის ჩხარაულის საზოგადოებას, რომელშიც შედის შემდეგი სოფლები: გეზრული, ჩხირაული, სვერი, მეჩხეთური და ტყემლუანა. ტყემლუანა მდებარეობს ამ სოფლებშუა ადგილს, სადაც სოფლის სამართველოსთან აშენებულია ორკლასიანი სამინისტრო შკოლა. სასწავლებლიდან, ტყემლუანას გარდა, ყველა სოფელი დაშორებულია საშვალო რიცხვით 7-10 ვერსით. ამიტომაც ამ სოფელთა მცხოვრებნი სავსებით ვერ სარგებლობდენ შკოლით, და ამას თუ მიუმატებთ იმ გარემოებას, რომ სოფლის ღელეები წვიმებისა და ნამქერის დროს ადიდდებიან, რომელზეც უხიდობის გამო, ვიდრე წყალი დაიკლებდეს, ბავშები ვერ მიდიან და იძულებული არიან შინ იყონ, გასაკვირველი არ იქნება ის არანორმალური მიმდინარეობა მათი სწავლისა. ამ გარემოებამ აფიქრებია სვერისა და მეჩხეთურის მცხოვრებთ, დაეარსებიათ—პირველთ ერთკლასიანი სამინისტრო, ხოლო მეორეთ—სამრევლო შკოლა. ს, მანდაეთი კი, მიუხედავათ იმისა, რომ მცხოვრებთა რიცხი 232 კომლამდია და სხვა სოფელზე არა ნაკლებაა დაშორებული, ჯერ ამ მხრით ვერავითარ ნაბიჯს ვერა სდგამს წინ. ამ 30 წლის წინათ ამ მხრით სოფელი მანდაეთი ბედნიერი იყო, რადგანაც თვით აქ არსებობდა ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა. დღეს კი, სწავლის მხრით ეს სოფელი ძლიერი ჩამორჩენილია.

საერთოდ ამ სოფელთა მიწის სინოყიერე არ წარმოადგენს რასმე სანუგეშოს, ჭირნახული ნაკლებათ მოდის ნიადაგის უვარგისობის გამო და წელს ხომ, გვალვიანი მიდების მეოხებით—დამწვარზე დუღარე გადაესხა. ახლა რომ ვინმე გულშემხტკივარნი მოახერხებდენ კოოპერატიული დუქნისა და წვრილი კრედიტის გახსნას, როგორც ეს გარშემო სოფლებშია, მაგ. კორბოულში, ითხვისში და არ ჩაუგდებდენ საწყალ გლეხობას თითო-ოროლა მედუქნეს საწველ ფურათ, დიდი საქმე იქნებოდა, მედუქნეების თავგასულობა იქამდისაც კი

დეპეშები.

(ჰეტ. დეპ. სააგ).

რუსეთი.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა უმაღლესათ დამტკიცებული დეკლარაცია მონგოლეთის ავტონომიის შესახებ.

კიევი. საქალაქო და საერობო საქმეების შესასწავლი ინსტიტუტის დაარსების შესახებ ქალაქმა შვამდგომლობა აღძრა იმის თაობაზეც, რომ ინსტიტუტის დასაარსებლათ მთავრობამ ფული გადასდვას. თავისი მხრით ქალაქმა ათასი მანეთი გადასდვა და შენობის ასაგებათ მიწასაც უთმობს.

პეტერბურგი. მომრიგებელ სასამართლოს წარმომადგენელთა უკანასკნელი სხდომა მოხდა. 5 დეკემბერს იუსტიციის მინისტრის პატივსაცემლათ ბანკეტი გაიმართა.

უმაღლესმა სენატმა ძირითადი სახელმწიფო კანონების 99 მუხლის ძალით დაადგინა—7 დეკემბრიდან 14 იანვრამდი სათათფიროს სხდომები შესწყდეს.

ოსმალეთის ელჩი თურხან-ფაშა ლივადიას წავიდა, სადაც ხელმწიფეს წარუდგება.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში ფინლანდიაში შემოსატანი პურის ფქვილზე სადამოწმო გადასახადის შესახებ პროექტი შეიტანა.

საზღვარგარეთი.

ფლორენცია. პეკინიდან დავალებით კომისია მთელ მხარეში მთავრობის დაწესებულებებს რევიზიას ახდენს. მოსალოდნელია, მთავრობის დაწესებულებათა პირად შემადგენლობაში დიდი ცვლილება მოხდეს.

ბონნი. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი შემოსავლის მიხედვით გადასახადის შესახებ. იხილვენ მამულებზე დადებულ გადასახადის კანონპროექტს.

ტრიესტი. სლავიანთა და აგრეთვე სერბიელ-ხორვატულთა გაზეთები ასოთამწყობების გაფიცვას გამო არ გამოსულა. ასოთ-ამწყობები შრომის ფასის მომატებას მოითხოვენ.

რომი. იტალიის ჯარისკაცებმა ტრიპოლიტანიაში მთავრობას მკვიდრთა სიკვდილის დასჯის საქმეს წინააღმდეგობა გაუწიეს. ამის შესახებ სოციალისტმა ტურკმა სამხედრო მინისტრის მიმართ დეპუტატთა პალატაში შეკითხვა შეიტანა. შეკითხვაზე სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ასე უპასუხა: სამინისტროში ჯარისკაცთა წინააღმდეგობამ გაკვირვება გამოიწვია და აღიძრა საქმე დამნაშავეთა აღმოსაჩენათო.

ფლორენცია. საერთაშორისო კომისიამ ალბანეთისა და სერბიის საზღვრების შესახებ ერთხმათ მიიღო ინგლისის წინადადება.

სტამბოლი. მთავრობის ორგანოში პოლიციელთა უფროსის აზმი-ბეის სამსახურიდან დათხოვის ბძანებაა გამოქვეყნებული.

სტრასბურგი. ცაბერნის პოლკის პოლკოვნიკის ფორსტნერის საქმის გარჩევის დროს პოლკოვნიკმა განაცხადა: ბძანება დაუგზავნე აფიცრებს რომ ელზასლების მიმართ ურიგო საქციელი არ ჩაედინათო.

ბუქარესტი. სენატმა ერთხმათ მიიღო ბულგარეთისაგან დათმობილი ადგილების ანექსიის პროექტი.

სტამბოლი. სამხედრო წესები გაძლიერეს. პოლიციას აცნობეს, რომ ბერძნების მიერ დატყვევებული აფიცრების შორის ბევრია დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგი, რომელთაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების შეცვლა უნდათ. შეთქმულების ერთმა მონაწილემ შეთქმულება გასცა.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ—ბის ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილი აბრეშუმის ჭიის თესლის

ხ. ხრისტოდულიდის

(რომელ-საც წინათ ეჭირა ნენ წერეთლის)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრის[illegible] [illegible]/წ. შეუკვეთს თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელ-შიც 200 კოლოფი ექნეს მისცემენ. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საჰაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ქქთამეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება უოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, უოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე ხაფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

მიდის, რომ ფეხზე მოსიარულე მოვაჭრე ებრაელებს მათი შიშით ვერ გაუვლიათ—ცხვირპირს ამოამტვრევენ, თუ გაბედეს. ასეთი მოვლენა კი ხშირია სოფლად.

ამ რამდენიმე დღის წინათ ბ. გ. ამილახვარმა გამოიარა ამ სოფელში თავისი მხლებლებით და ამ საერთო გაჭირებისა და ტირილის დროს ფული მოკრიბა, ხოლო ვინც ფული ვერ მოახერხა, საქონელი წაართვა და წაასხა გასაყიდათ. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის განმავლობაში ეგზეკუციათ ჩაუდგა სოფლელებს და ისედაც შევიწროებულნი ძლიერ შეავიწროვა. სულ ამ სოფლიდან 30-მდი საქონელი წაიყვნა ფულს გარდა. ადგილების შესაყიდი ფულის გადახდა სწორეთ დღესუხდებათ გლეხებს, ამ შიმშილობის დროს. ბ. ამილახვარმა დაასწრო სხვა გადასახადების მოკრებას, თუ რამ გააჩნდა საწყალ გლეხს წაართვეს და სხვა გადასახადს სიდან მოიშორებს, ან თავს რით გამოიკვებს?...

გულშემატკივარი.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

საჭიროა

პატარა ბავშვის მოსავლელათ პატარა გოგო 12—16 წლამდი. პირობების გაგება შეიძლება:

ბალახვანის ქუჩა სახლი მახარაძისა № 22 სახლის პატრონთან.

საცვლების მკერავი ქ ა ლ ი

სალომე უკლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.

ბალახვანის ქ. სახლი გრიგოლიასი № 64

ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო

ნ. ასათიანისა და ი. კვერღელიძის.

ქ. ქუთ. ალექსანდრეს ქ. სახ. თევდორაძისა.

ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს ½ წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმი კ. თ. ტუეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

აქიმი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

ჭ. ა. ამირანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული	1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	$12^{1}/_{2}$ 2
ს ა ღ ა მ ო თ.	
გ. დ. ქორქაშვილი—თვალის	$4^{1}/_{2}$—$5^{1}/_{2}$
ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	$5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).

ა. თაბაგრის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

გ. გორდამისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის კოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაე-მალცევის ბემსკის მანგბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, სოკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია,

1860 წ. დაარს.

„დუხი" და ვარდის ოდეკოლონი

ორიგან

იდილის

ციკლამენ

პირველი ვარდი

ორიგინალური, საუცხოო და ხანგრძლივი

იყიდება ამიერკავკასიის ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიაში.

ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРИЯ С. ПЕТЕРБУРГСКАЯ

ოქროს მედალი პარიზი 1900 წ.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი-ბ ა ბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ.

პაპიროზები კეთდება გამორჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კოშაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

სამოდო-მანუფაქტურის მ ა ღ ა ზ ი ა

ზ. ს. გუტულოვის

ქუთაისში გიმნაზიის ქუჩა ბულვრის პირდაპირ

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ 9-ან 24-მდი ამა ქრისტეშობისთვისა დანიშნულია

დიდი საშობაო იაფი ვაჭრობა.

ფ ა ს ე ბ ი უ ვ ა ჭ რ ო თ.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდან და უკანასკნელი მოდის, გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. იცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(გოლოვინსკის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

ა. ი. კოსტავას

ევროპიულ მაღაზიაში

(თფილისის ქუჩა, ქალაქის აფთიაქის გვერდით)

კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი

დანიშნულია დიდი იაფი ვაჭრობა.

—✦ ფასები ძლიერ დაკლებულია. ✦—

კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.

ფ ა ს ე ბ ი უ ვ ა ჭ რ ო თ.

ვ... ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

ელექტრო-საბეჭდავი ფირაძისა და კარწაუხიძის ქუთაისში.